ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდით აღრიცხვა

გარკვეული ორგანიზაციები აღრიცხავენ ძირითად საშუალებებს ორი სხვადასხვა მეთოდით, შესაძლებელია ერთ ძირითად საშუალებას ქონდეს განსხვავებული: ღირებულება, ცვეთის დარიცხვის მეთოდი (ცვეთის დასარიცხი თანხა) და ღირებულების ცენტრი.

ყურადღება! მეორე მეთოდისათვის ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება პირველი მეთოდისგან განსხვავებულ ღირებულების ცენტრში. სისტემა არ მოგცემთ საშუალებას ორივე მეთოდისთვის გამოიყენოთ ერთიდაიგივე ღირებულების ცენტრი.

ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდით აღრიცხვას შეძლებთ მენიუში / ძირითადი საშუალებები/ძირითადი საშუალებები 2.

ეკრანში [ძირითადი საშუალებები 2] გამოჩნდება ყველა ის ძირითადი საშუალება, რაც დამატებული გაქვთ ძირითადი საშუალებების სიაში.



ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდის ეკრანში ძირითადი საშუალებები გადმოვა ნულოვანი ღირებულებით, ცვეთის დარიცხვის მეთოდით - არცერთი და ცარიელი ღირებულების ცენტრის ველით. დანარჩენი მონაცემები, როგორიცაა ძირითადი საშუალების დასახელება, რაოდენობა, ანგარიშები, თარიღები და სხვა ეთითება პირველი მეთოდის ეკრანში.



ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდისათვის შეგიძლიათ შეასრულოთ შემდეგი ოპერაციები: ძირითადი საშუალებების მიღება, ცვეთის დარიცხვა, კაპიტალიზაცია, გადაფასება, დაშლა, გაერთიანება, ჩამოწერა, ძ/ს მიწოდება, საწყისი ნაშთების დასმა, ძირითადი საშუალებების ინფორმაციის მთლიანობის შემოწმება, ძირითადი საშუალებების პაკეტური კორექტირება და ძ/ს იმპორტი.

იმისათვის, რომ დაიწყოთ ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდით აღრიცხვა, აუცილებელია ძირითად საშუალებებს მიუთითოთ [ღირებულების ცენტრი]. ამისათვის შეგიძლიათ გააკორექტიროთ ძირითადი საშუალებები ღილაკით - [კორექტირება - F2], გამოიყენოთ პაკეტური კორექტირების ღილაკი ან/და მიიმპორტოთ ძირითადი საშუალებები ექსელიდან.

განვიხილოთ როგორ მუშაობს ძირითადი საშუალებების ოპერაციები

ძირითადი საშუალებების მიღება

ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდისათვის მიღების ოპერაცია შესრულდება, ძ/ს პირველი მეთოდით უკვე დამატებული მიღების ოპერაციის მიხედვით. ძ/ს პირველი მეთოდის მიღების ოპერაცია უნდა გქონდეთ დამატებული მენეჯერული აღრიცხვა/ მიღების ოპერაციის ეკრანში.

მიღების ოპერაციის შესრულების დროს სისტემა ეკრანზე გიჩვენებთ საოპერაციო პერიოდში შესრულებულ მიღების ოპერაციებს, საიდანაც უნდა აირჩიოთ ის მიღების ოპერაცია, რის მიხედვითაც ძირითადი საშუალებების მიღება მეორე მეთოდისათვის.

მიღების ოპერაციის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს - [ძირითადი საშუალების მიღება]. იხილავთ შეტყობინებას:



დააჭირეთ ღილაკს OK.



ეკრანზე იხილავთ მიღების ოპერაციების სიას, საიდანაც უნდა აირჩიოთ თქვენთვის სასურველი მიღების ოპერაცია, ღილაკით [ავირჩიოთ].

მიღების ოპერაციის არჩევის შემდეგ სისტემა დაამატებს ახალ მიღების ოპერაციას, არჩეული ოპერაციის მონაცემებით და ოპერაციაში დატოვებს მხოლოდ „ძირითადი საშუალებების“ საგნის ტიპის ჩანაწერებს. ძირითადი საშუალებების მიღების გატარებები შესრულდება იგივე რაოდენობით და თანხით, რაც მითითებულია პირველი მეთოდის ოპერაციაში, განსხვავებული იქნება მხოლოდ ღირებულების ცენტრი. სისტემა დაამატებს ოპერაციას მეორე მეთოდის ეკრანში მითითებული ღირებულების ცენტრით [ღირებულების ცენტრი2]. ოპერაციის დასრულების შემდეგ იხილავთ შეტყობინებას.



მიღების ოპერაციის დასრულების შემდეგ, მეორე მეთოდის ძირითად საშუალებებს მიეთითება ოპერაციაში არსებული საბალანსო ღირებულებები.

ძირითადი საშუალებების მეორე მეთოდისათვის ჩამოწერის და რეალიზაციის ოპერაციების დამატება ხდება მიღების ოპერაციის მსგავსად.

ძირითადი საშუალებების დაშლა

ძირითადი საშუალებების დაშლის ოპერაცია სრულდება მიღების ოპერაციის მსგავსად.

დაშლის ოპერაციის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს - [დაშლა]. იხილავთ შეტყობინებას:



OK ღილაკზე დაჭერით იხილავთ პირველი მეთოდით შესრულებულ დაშლის ოპერაციებს, საიდანაც უნდა აირჩიოთ თქვენთვის სასურველი დაშლის ოპერაცია. ოპერაციის არჩევის შემდეგ იხილავთ ეკრანს:



სადაც ნაჩვენებია დასაშლელი ძირითადი საშუალების რეკვიზიტები.

დაშლის თარიღი - ავტომატურად მითითებულია პირველი მეთოდით შესრულებული დაშლის ოპერაციის თარიღი, სურვილის მიხედვით შეგიძლიათ ის შეცვალოთ. ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ დოკუმენტის ნომერი, მემორიალი და კომენტარი.

დააჭირეთ ღილაკს [შემდეგი]. იხილავთ ეკრანს:



მოცემულ ეკრანზე, სისტემა ავტომატურად გაგიმზადებთ პირველი მეთოდის მიხედვით დაშლილი ძირითადი საშუალებების სიას, მისი შესაბამისი რეკვიზიტებით, და რაოდენობის მიხედვით პროპორციულად გადაანაწილებს თანხებს (საბალანსო ღირებულება, ჯამური ცვეთა, ნარჩენი ღირებულება და სხვა). თქვენ შეგიძლიათ შეიტანოთ ცვლილებები ყვითლად შეფერილ ველებში. ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს [დასასრული].

ოპერაციის დასრულების შემდეგ, დაშლილ ძირითად საშუალებებს მიეთითება შესაბამისი მონაცემები.

ძირითადი საშუალებების გაერთიანება

ძირითადი საშუალებების გაერთიანების ოპერაცია სრულდება დაშლის ოპერაციის მსგავსად.

გაერთიანების ოპერაციის დასამატებლად დააჭირეთ ღილაკს - [გაერთიანება]. გაერთიანების ღილაკზე დაჭერის შემდეგ იხილავთ პირველი მეთოდით შესრულებული გაერთიანების ოპერაციებს და სასურველის არჩევის შედეგ იხილავთ ეკრანს:



მოცემულ ეკრანზე, სისტემა ავტომატურად გაგიმზადებთ პირველი მეთოდის გაერთიანების ოპერაციის მიხედვით გასაერთიანებელი ძირითადი საშუალებების სიას, მისი შესაბამისი რეკვიზიტებით. ოპერაციის გასაგრძელებლად დააჭირეთ ღილაკს [შემდეგი]. იხილავთ ეკრანს:



გამოსულ ეკრანზე სისტემა გიჩვენებთ გაერთიანებული ძირითადი საშუალებების რეკვიზიტებს, ასევე გაგიმზადებთ შემდეგ ველებს: ღირებულების ცენტრი, გაერთიანების თარიღი, დოკუმენტის ნომერი, მემორიალი და კომენტარი, სურვილისამებრ თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ ისინი. ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს [დასასრული].

ოპერაციის დასრულების შემდეგ, გაერთიანებულ ძირითად საშუალებას მიეთითება შესაბამისი მონაცემები.

ძირითადი საშუალებების ოპერაციების - ცვეთის დარიცხვა, კაპიტალიზაცია, გადაფასება, საწყისი ნაშთების დასმა, ძირითადი საშუალებების ინფორმაციის მთლიანობის შემოწმება, ძირითადი საშუალებების პაკეტური კორექტირება - შესრულება ხდება იგივე პრინციპით, როგორც პირველი მეთოდის დროს. ამ ოპერაციების მუშაობა აღწერილია ვიდეო გაკვეთილებში, რომელიც შეგიძლიათ მოუსმინოთ შემდეგი მისამართით: https://oris.ge/ka/oris-bugalteria-7-is-video-gakvetilebi 5.3 ძირითადი საშუალებები

ჩაბურღვა(დეტალიზაცია)

ძირითადი საშუალებების - ჩაბურღვა (დეტალიზაცია) ღილაკის საშუალებით, შეგიძლიათ ნახოთ მონიშნული ძირითადი საშუალების : ბარათი, დეტალური ბარათი, გატარებები, ბრუნვები და ასევე ძირითადი საშუალების პირველი მეთოდის კორექტირების ეკრანი, მენიუს შესაბამისი ქვეპუნქტის არჩევით.



ძირითადი საშუალებების იმპორტი

ძირითადი საშუალებები2-ის ეკრანში შეგიძლიათ ექსელის ფაილიდან მონაცემების მიიმპორტება.

ამისათვის ძირითადი საშუალებები2-ის ეკრანიდან ექსელში გააექსპორტეთ ძირითადი საშუალებების სია, დაამუშავეთ ის და შემდეგ მიიმპორტეთ უკან.

აღნიშნული ოპერაციით სისტემა ჩაანაცვლებს ძირითად საშუალებებს იმპორტირებული მონაცემებით.

მონაცემების მისაიმპორტებლად დააჭირეთ ღილაკს - [იმპორტი].

გადადით მენიუში - [გამოვიყენოთ მაკროსი], მონიშნეთ ძირითადი საშუალებების იმპორტი2 და დააჭირეთ OK.



იხილავთ ეკრანს:



ველის [აუცილებელი ველები ძ/ს იმპორტისათვის] მონიშვნით ეკრანზე იხილავთ იმ ველების ჩამონათვალს, რომლის ჩანაცვლებაც მოხდება აღნიშნული ოპერაციით.



ველში [აირჩიეთ ექსელის ფაილი იმპორტისათვის] ღილაკით აირჩიეთ მისაიმპორტებელი ექსელის ფაილი და დააჭირეთ ღილაკს OK.